ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურა



სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი (ლარი)

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში 2013 წლის 29 ნოემბრის N84 უ.ს.რ.ს. განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 5 821 516 ლარით.



სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების საერთო ბიუჯეტი 2013 წელში განისაზღვრა 5 821 516 ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 5 747 025 ლარი, გეგმის 99 %.

N	პროგრამის დასახელება	დამტკიცებული გეგმა (ლარში)
1	პროგრამა – ფერმერული მეურნეობის განვითრების ხელშეწყობა (მოიცავს 6 ქვეპროგრამას)	1 722 005 ლ
2	პროგრამა – მემცენარეობის დარგის განვითარების მიზნით კვლევები და პრევენციული ღონისძიებები (მოიცავს 3 ქვეპროგრამას)	301 025 ლ

სამინისტროს მიერ 2013 წელს განხორციელებული ქვეპროგრამები

1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 630 300 ლარი;
2. სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი 194 000 ლარი;
3. მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 198 005ლარი;
4. მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 99 700 ლარი;
5. ბოსტნეული კულტურების ელიტური სარგავი მასალით ფერმერთა უზრუნველყოფა, ბიუჯეტი - 521 000 ლარი;
6. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებათა დიაგნოსტიკა და პრევენციულ ღონისძიებებზე ფერმერთა კონსულტაცია, ბიუჯეტი - 45 000 ლარი;
7. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზება, ბიუჯეტი 79 000 ლარი;
8. ნიადაგის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა, ბიუჯეტი - 244 025ლარი;
9. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ლატორატორიული კვლევა, ბიუჯეტი - 12 000 ლარი.

ბიუჯეტი - 2 023 030 ლარი

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ბიუჯეტი - 630 300 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ:

1. 98 ერთეული მოტობლოკი 7 ცხ.ძ. ძალამრთმევი ლილვით (ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 6; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 26; ქედის მუნიციპალიტეტი - 27, შუახევის მუნიციპალიტეტი - 23, ხულოს მუნიციპალიტეტი - 9, ქ.ბათუმი - 7 ერთეული);
2. 48 ერთეული 7 ცხ.ძ. მოტობლოკი სათიბელა აგრეგატით (ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 3, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 5, შუახევის მუნიციპალიტეტი - 6, ხულოს მუნიციპალიტეტი - 32, ქ.ბათუმი - 2 ერთეული);
3. 10 ერთეული 11 ცხ.ძ. მოტობლოკი სათიბელა აგრეგატით (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 1, ქედის მუნიციპალიტეტი - 3 , ხულოს მუნიციპალიტეტი - 6 ერთეული);
4. 200 ერთეული ცოცხალი გამწევი ძალის გუთნები (ქედის მუნიციპალიტეტი - 20, შუახევის მუნიციპალიტეტი - 60 , ხულოს მუნიციპალიტეტი - 120 ერთეული);
5. 1 000 ცალი (500 წყვილი) ცოცხალი გამწევი ძალის გუთნის სახნისები (ქედის მუნიციპალიტეტი - 40 წყვილი (80 ერთეული); შუახევის მუნიციპალიტეტი - 120 წყვილი (240 ერთეული); ხულოს მუნიციპალიტეტი - 340 წყვილი (680 ერთეული).

„სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“

***ბიუჯეტი* - 194 000 ლარი;**

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 100 ერთეული მარტივი ტიპის სასათბურე კონსტრუქცია. კერძოდ:

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - **24** ერთეული;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - **28** ერთეული;

ქედის მუნიციპალიტეტი - **14** ერთეული;

შუახევის მუნიციპალიტეტი - **5** ერთეული;

ხულოს მუნიციპალიტეტი - **10** ერთეული;

ქ.ბათუმი - **19** ერთეული.



„ბოსტნეული კულტურების ელიტური სარგავი მასალით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა “

<u>ბიუჯეტი</u> - 521 000 ლარი,

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 30 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ 3 მლნ. ცალზე მეტი ბოსტნეული კულტურების ელიტური, უვირუსო ჯიშის საჩითილე მასალა:

1. პომიდორის ჩითილი – 1030 000 ცალი;
2. კიტრის ჩითილი – 965 000 ცალი;
3. ბულგარულის ჩითილი –678 000 ცალი;
4. ბადრიჯნის ჩითილი – 391 705 ცალი.

„მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“

<u>ბიუჯეტი</u> - 99 700 ლარი,

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს 40 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ ხეხილის პერსპექტიული ჯიშები:

1. <u>თხილის 20 000 ცალი ნერგი</u> (ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 1 400, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – 2 700, ქედის მუნიციპალიტეტი 6 900 , შუახევის მუნიციპალიტეტი – 6 000, ხულოს მუნიციპალიტეტი – 3 000 ცალი ნერგი);

2. <u>მოცვის 2 000 ცალი ნერგი</u> (ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 330 , ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – 330, ქედის მუნიციპალიტეტი – 400, შუახევის მუნიციპალიტეტი – 400 , ხულოს მუნიციპალიტეტი – 480 , ქ. ბათუმი– 60 ცალი ნერგი)

3. <u>სუბტროპიკული ხურმის 4 000 ცალი ნერგი</u> (ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 550, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – 1200, ქედის მუნიციპალიტეტი – 1250, შუახევის მუნიციპალიტეტი – 1000 ცალი ნერგი)

4. <u>ციტრუსი 4000 ცალი ნერგი</u> (ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 2000 ,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – 2000 ცალი ნერგი)

5. <u>კივი 3 000 ცალი ნერგი</u> (ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 700, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – 800, ქედის მუნიციპალიტეტი – 800 , შუახევის მუნიციპალიტეტი – 300 , ხულოს მუნიციპალიტეტი– 400 ცალი ნერგი)

6. <u>ნამყენი კაკლის 3750 ცალი ნერგი</u> (ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 700 , ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – 850 , ქედის მუნიციპალიტეტი – 800 , შუახევის მუნიციპალიტეტი – 800 , ხულოს მუნიციალიტეტი – 600 ცალი ნერგი)

„მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა“

ბიუჯეტი - 198 005ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის მეფუტკრე ფერმერებს 40 %–იანი თანადაფინანსებით მიეწოდათ ფუტკრის 960 ცალი თანამედროვე დადანბლანტის ტიპის სკები. კერძოდ:

- ✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტი – **365** ცალი;
- ✓ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – **189** ცალი;
- ✓ ქედის მუნიციპალიტეტი – **155** ცალი;
- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტი – **105** ცალი;
- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტი – **86** ცალი;
- ✓ ქ.ბათუმი – **60** ცალი.

„სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზება“

ბიუჯეტი - 79 000 ლარი;

ქვეპროგრამის შედეგად ჩამოყალიბდა **5** საპილოტე სასოფლო–სამეურნეო გაერთიანება.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები, კერძოდ:

✓ მოხდა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ცალკეული მოდელების შემუშავება, მათი საჯარო განხილვა და სამეცნიერო დაწესებულების რეკომენდაციის საფუძველზე კონკრეტულ მოდელზე წარმოდგენილი იქნა პროექტი (რომელიც განხორციელდა გეგმა-გრაფიკით განხაზღვრულ ვადაში);

✓ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ჩამოყალიბების მიზნით შეიქმნა **5** საინიციატივო ჯგუფი (თითოეულ ჯგუფში არანაკლებ **2** კაცი) , ჩატარდა სწავლება-კონსულტირება (რომელიც განხორციელდა გეგმა-გრაფიკით განხაზღვრულ ვადაში);

✓ გაერთიანებებში სავარაუდო ბენეფიციართა შერჩევის მიზნით ჩატარდა საკონსულტაციო-სარეკლამო სამუშაოები და შეირჩა ბენეფიციარები;

✓ განისაზღვრა ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სამეწარმეო მიმართულებები და საწარმოო პროგრამები. შერჩეულ ბენეფიციარებთან ჩატარდა შესაბამისი საველე სამუშაოები(ბენეფიციარებთან ნიადაგის კვლევა - **260** ნიმუში, მავნებელ-დაავადებათა და სხვათა დიაგნოსტიკა - **160** ნიმუში);

✓ შემუშავდა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების დებულებები და ჩამოყალიბდა სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებები შესაბამისი სამართლებრივი ფორმით.

„ნიადაგის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა“

<u>ბიუჯეტი</u> -244 025 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონში გამოკვლეული იქნა ნიადაგის 5500 ნიმუში, თითოეულ ნიმუშში განისაზღვრა ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები **N; P; K; pH;** მჟავიანობა და ჰუმუსი.

კვლევის საფუძველზე შემუშავებული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც გადაეცათ ფერმერებს. კერძოდ:

- ✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტი **– 1000** რეკომენდაცია;
- ✓ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი **– 1000** რეკომენდაცია;
- ✓ ქედის მუნიციპალიტეტი **– 1000** რეკომენდაცია;
- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტი **– 1000** რეკომენდაცია;
- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტი **– 1000** რეკომენდაცია;
- ✓ ქ.ბათუმი **– 500** რეკომენდაცია;

„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ლაბორატორიული კვლევა"

<u>ბიუჯეტი</u> - 12 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტროსა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შორის შეთანხმების საფუძველზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უშუალო მონაწილეობით, განხორციელდა ნიმუშების აღება სარეალიზაციო ქსელიდან და აღებული ნიმუშების ლაბორატორიაში ჩაბარება. ლაბორატორიული კვლევისათვის საკვლევი ობიექტებიდან აღებული იქნა **100** ნიმუში, მათ შორის **60** პესტიციდის და **40** აგროქიმიკატის. კვლევის შედეგები მიღებულია გამოცდის ოქმების სახით.

„სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებათა დიაგნოსტიკა და პრევენციულ ღონისძიებებზე ფერმერთა კონსულტაცია"

<u>ბიუჯეტი</u> - 45 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ –,,ტესტირების, სერტიფიკაციის ცენტრის" მიერ განხორციელდა საკვლევი ობიექტების შერჩევა (სულ 40 საკლევი ობიექტი), სადაც განხორციელდა თითოეულზე სასოფლო–სამეურნეო კულტურების სავეგეტაციო ფაზების შესაბამისად, 8 საველე გასვლა. სპეციალისტების მიერ თითოეულ ფერმერთან საკარმიდამო ნაკვეთებში ისწავლებოდა მავნებელ-დაავადებები და გაიცემოდა შესაბამისი რეკომენდაციები მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ასევე პროგრამის ფარგლებში საკარმიდამო ნაკვეთებში არსებული კულტურების მიხედვით, ფერმერებზე გადაცემული იქნა სარეკომენდაციო–საცნობარო ტრიპლეტებიც.





სასოფლო–სამეურნეო ბარათები

რაიონი	სულ ბენეფიციარები (მათ შორის დამატებით სიებში შესული)	სულ დაიბეჭდა ბარათი	მიიღო	არ მიიღო
ქობულეთი	22 435	19 861	19 861	2 574
ხელვაჩაური	17 442	15 213	15 154	3 179
ქედა	5 217	14 886	5 077	140
შუახევი	6 333	6 061	6 061	272
ხულო	9 624	14 892	10 988	3 904
სულ	61051	70913	57141	10069

მუნიციპალიტეტებში სულ დარიგებულია 57141 ცალი სასოფლო-სამეურნეო ბარათი.

2013–2014 წლების ციტრუსის სეზონი

- ✓ საპროგნოზო მონაცემებით ციტრუსის მოსალოდნელი მოსავალი 102312 ტონას შეადგენდა, მათ შორის: მანდარინი 93 693 ტონა, ფორთოხალი 7 467 ტონა, ლიმონი 1 152 ტონა.

2013 წელს ძირითად საექსპორტო ქვეყნებს წარმოადგენდნენ უკრაინა, რუსეთი, ბელორუსია, სომხეთი, აზეირბაიჯანი, მოლდავეთი და ყაზახეთი.

- ✓ საექსპორტო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი ციტრუსის მიწოდების მიზნით აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით ციტრუსის დახარისხება–შეფუთვითა და რეალიზაციით დაინტერესებულ პირებს სიმბოლურ ფასად გადაეცათ 17–მდე ყოფილი ციტრუსის შემუთავ–დამხარისხებელი საწარმო, რომლებსაც სეზონის დასაწყისისათვის ჩაუტარდათ რეკონსტრუქცია, აღიჭურვნენ დამხარისხებელი ხაზებითა და დამხმარე (ავტო-მტვირთავი, ელექტრო სასწორი, პნევმატური ურიკა თითოეული არანაკლებ 2 ტონამდე ტვირთამწეობით, პალეტებით და პალეტზე დაწყობილი ყუთების შემკვრელი) მოწყობილობებით, ასევე რამოდენიმე მათგანი ტარა-მასალის ამწყობი ხაზებით, მათ შორის უახლესი ტექნოლოგიით აღიჭურვა და მწყობრში ჩადგა შპს „TCF GEORGIA“, რომელიც დღიურად ევროსტანდარტების დონეზე ასაქონლებს 300 ტონა მანდარინს და აწარმოებს 15000 ცალ 12-14კგ (პლასტმასის, ხის ანათალისა და მუყაოს გოფრო) ტარას, საწარმოში დასაქმებულია 240 მდე მუშა–მოსამსახურე. ჯამში სეზონის განმავლობაში ფუნქციონირებდა 30–მდე შემფუთავ–დამხარისხებელი საწარმო.

- ✓ მეცტრუსე ფერმერთა მიერ ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (განკარგულება N 2174) ყოველ კილოგრამ ექსპორტზე რეალიზებულ სტანდარტულ მანდარინზე 0,15 ლარით სუბსიდირებისათვის გამოყოფილი იქნა 12 მილიონი ლარი. ამასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის შედგენისა და პრაქტიკული რეალიზაციისათვის სამინისტროს მიერ ჩატარდა სპეციალისტების სისტემატიური შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსხალეობასთან.

ციტრუსის ექსპორტზე რეალიზაცია

✓ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეალიზებული იქნა 44 110 ტონა ციტრუსი, საიდანაც ექსპორტზე რეალიზებულია 40 765 ტონა, კერძოდ უკრაინა – 20 249ტ; ბელორუსია - 1394, მოლდოვეთი – 215ტ, ყაზახეთი – 505ტ, უზბეკეთი – 137ტ, რუსეთი 13 228ტ, ტაჯიკეთი –39 ტონა, სომხეთი/აზერბაიჯანი – 4998ტ.



ციტრუსის საკონსერვო გადამუშავება

მანდარინის არასტანდარტული ნაყოფის გადამუშავებას უზრუნველყოფს შპს „აქტივების მართვის ქართული ინდუსტრიული ჯგუფის“ ქობულეთის საკონსერვო ქარხანა, რომელიც 1კგ არასტანდარტულ მანდარინის ნაყოფში ჩამბარებელს უხდის 0,1 ლარს, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტები მუნიციპალური ბიუჯეტიდან ახორციელებენ დამატებით დაფინანსებას – 0,1 ლარის ოდენობით. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადამუშავებულია 6 440,5 ტ ციტრუსის არასტანდარტული ნაყოფი და დამზადებულია 400 ტონაზე მეტი მანდარინის კონცენტრირებული წვენი.

თანამშრომლობა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან

✓ **GIZ – GLOBAL GAP**-სერტიფიკატი მეციტრუსეთა ასოციაციისთვის–პროექტი დასრულებულია;

✓ ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ლიტვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული პროგრამა"**Leader –** აჭარის არ მეთევზეთა ასოციაციის განვითარება/ თევზის შესაბოლი აპარატის უსასყიდლოდ გადაცემა და მეთევზეთათვის საკვალიფიკაციო ტრენინგები აჭარასა და ლიტვაში, პროექტი დასრულებულია ;

✓ისრაელის საელჩო საქართველოში, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ისრაელის სოფლის მეურნეობის სამინისტრო –პროგრამა "**Mashav,**" გაგზავნილ იქნა აგრო მიმართულების **4** სპეციალისტი ისრაელის სოფლის მეურნეობის სიახლეებისა და გამოცდილების გასაზიარებლად კერძოდ; მეფუტკრეობის, ვეტერინარიისა და მემცენარეობის დარგის მიმართულებებით,

✓ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, ჩინეთის ეკონომიკის სამინისტრო– გაგზავნილი იქნა **4** სპეციალისტი ჩინეთის აგრო განვითარების სხვადასხვა მიმართულებების გასაცნობად;

✓ა.შ.შ. სახელმწიფო დეპარტამენტი და ა.შ.შ. ეკონომიკის დეპარტამენტი– სოფლის მეურნეობის მინისტრის თანაშემწე ნ. ბეჟანიძემ მონაწილეობა მიიღო ამერიკაში გამართულ ტრენინგ პროგრამაში „ხილისა და ბოსტნეულის შეფუთვა და გადამუშავება";

✓**USAID/EPI(**ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა**) –** ფერმერთათვის ტრენინგ პროგრამა ციტრუსის მოვლის თანამედროვე მეთოდებზე;

✓ევროკავშირი და გაერო (კონტრაქტორი ორგანიზაცია) **–ENPARD Ajara** (სოფლის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა) **2013–2016** წ;

✓საქართველოში ჰოლანდიის საელჩო **–PUM (**უფროსი ექსპერტის დახმარება**)** გაიგზავნა მოთხოვნა ექსპერტების მოწვევისა და მათ მიერ ტრენინგების ჩატარებაზე;

✓საქართველოში პოლონეთის საელჩო, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო– ქედის მუნიციპალიტეტის ფერმერული ასოციაციის უზრუნველყოფა ხილისა და ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავებელი ხაზით, პროექტი განხილვის ეტაპზეა;

✓ **Tika** თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო - საპროექტო განაცხადები (მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, მარტივი ტიპის სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფა, ხილისა და ციტრუსის შესანახი სამაცივრე მეურნეობების მოწყობა) გადაგზავნილია განხილვისათვის;

✓**USAID –**დემოკრატიული მმართველობა საქართველოში, პროექტის განხორციელების ვადა **2013–2014** წ;

✓საქართველოში ლატვიის საელჩო, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო – საპროექტო განაცხადი (შუახევის მუნიციპალიტეტის ფერმერული ასოციაციის უზრუნველყოფა ხილისა და ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავებელი ხაზით) გადაგზავნილია განხილვისათვის;

✓საქართველოში ჩეხეთის საელჩო, ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო –საპროექტო განაცხადები (ხულოს მუნიციპილიტეტის ფერმერული ასოციაციის უზრუნველყოფა ყველის დამამზადებელი მცირე საწარმოთი, ასევე თევზის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა მეთევზეთა ასოციაციის განვითარებისათვის) გადაგზავნილია განხილვისთვის;

✓ხორვატიის სოფლის მეურნეობის სამინისტრო – საპროექტო განაცხადი (რეგიონში მეფრინველეობის განვითარების ხელსეწყობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული ასოციაციისათვის) გადაგზავნილია განხილვისთვის;

✓საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო – საპროექტო განაცხადები (თამბაქოს ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების საწარმო, მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა რეგიონში, მეჩაიეობის განვითარება რეგიონში) გადაგზავნილია განხილვისთვის;

სამინისტროს მიერ გაწეული საინფორმაციო საქმიანობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინიტროს თავისი საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალეობის მიზნით მჭიდრო კონტაქტი აქვს, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საინფორმაციო საშულებებთან (ტელევიზია, რადიო, საავტორო პროგრამებში მონაწილეობა, საგაზეთო პუბლიკაციები). მათი მეშვეობით რეგულარულად შუქდება სხვადასხავა სფეროები, ახალი საწარმოების ამოქმედება, მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობა და დარგში არსებული საკითხები.

	№	დასახელება	რაოდენობა
ტელევიზიებისთვის მიცემული ინტერვიუ	1	ადგილობრივი ტელევიზიები – „აჭარის ტელევიზია“ ტელეკომპანია - „TV-25“,	183
	2	ცენტრალური ტელევიზიები – ტელეკომპანია „იმედი“, ტელეკომპანია „რუსთავი -2“ საზოგადოებრივი მაუწყებელი „პირველი არხი“	02
ტელე-რადიო სავტორო პროგრამებში მონაწილეობა	3	აჭარის ტელევიზიის საავტორო პროგრამა „მე ვარ ფერმერი“ აჭარის ტელევიზიის საავტორო პროგრამა ,,ინდიკატორი” ტელეკომპანია „TV- –ს სავტორო პროგრამა - „დიალოგი“ აჭარის რადიოს საავტორო პროგრამა - „კომპეტენტური პირი“	78
ბეჭდური მედია	4	გაზეთი - „აჭარა“ გაზეთი - „ბათუმელები“ აგრარული საქართველო	98
ელექრონული მედია	5	სააგენტოებზე გასული ინფორმაცია	21
სულ:	6		482

აგროსერვისცენტრის ძირითადი მიმართულებები :

- ფერმერთა სწავლება–კონსულტირება
- ხილის შრობა–დამუშავება
- ნიადაგის აქროქიმიური კვლევა
- საქონლის ხელოვნური განაყოფიერება

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"-ს სტრუქტურა



ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ 2013 წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობა

„აჭარის ა.რ. 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონში 2013 წლის 29 ნოემბრის №84 – უ.ს.რ.ს განხორციელებული ცვლილების შედეგად ა(ა)იპ “აგროსერვის ცენტრის“ 2013 წლის ბიუჯეტი განისაზღვარა 2 343 386 ლარით.

<u>მემცენარეობის განყოფილება</u> – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 ოქტომბრის №20646 და №2070 განკარგულებებისა და 2011 წლის 25 ნოემბრის უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“ უსასყიდლო უზუფრუქტით ფორმით დროებით სარგებლობაში გადმოეცა სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 179 874 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მათ შორის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მდებარე – 27 452 კვ.მ, დაბა ჩაქვში – 11576 კვ.მ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში მდებარე – 32 145 კვ და სოფელ ხუცუბანში მდებარე – 7 517 კვ.მ მიწის ნაკვეთები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა–ხუცუბნის ტერიტორიაზე ხეხილისა და ვაზის სადედე–საკოლექციო, სადემონსტრაციო სანერგეს მოსაწყობად 11 ჰექტარი ფართობი შემოიღობა მავთულ-ბადით, აშენდა ოფისი (ფერმერთა საკონსულტაციო), მოწესრიგდა ეზო, 11 ჰა ფართობზე გაკეთდა შიგა გზები, 11 ჰა გაკეთდა გარე განათება (დამონტაჟდა ვიდეოთვალები), აშენდა ნაზავის მოსამზადებელი ფარდული და შხამქიმიკატების საწყობი, მოეწყო ავტოფარეხი, მოეწყო სათბურის საძირკვლები, სარწყავი სისტემა, გაკეთდა სადრენაჟე არხები, დასასრულს უახლოვდება სასათბურე მეურნეობის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები, მოეწყო ხილის გადასამუშავებელი საწარმო. დღეისათვის აღნიშნულ სანერგეში გაადგილებული და გახარებულია სხვადასხვა სახეობის **15** ჯიშის ხეხილის, როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი წარმოშობის ნერგი და **22** ჯიშის ვაზის **2600** ძირი ნამყენი ნერგი. გარდა ამისა, აღნიშნულ სანერგეში დარგული და გახარებული იქნა ხეხილის **2000** ძირი და ვაზის **450** ძირი საძირე ნერგი .

<u>მეცხოველეობის განყოფილების</u> სპეციალისტების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაო:
სატელეფონო კონსულტაცია, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების საკითხებზე, გაეწია 907 პირს, 553 შემთხვევაში განხორციელდა გასვლა (ქ. ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტებში), საიდანაც 428 შემთხვევაში ჩატარდა ხელოვნური განაყოფიერება, სპეციალისტები, გეგმა–გრფიკის მიხედვით, ხვდებოდნენ მოსახლეობას და უტარებდნენ კონსულტაციებს მსხ. რქ. პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების უპირატესობების შესახებ, დარიგებული იქნა საინფორმაციო ბუკლეტები.

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისა“ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ერთობლივი საქმიანობის შესახებ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა “ENPARD AJARA” ფართოდ არის ჩართული რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების საქმეში.
2013 წლის 1 აგვისტოს ხელი მოეწერა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრსა“ და “ENPARD AJARA”–ს წარმომადგენლობას (UNDP) შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას 320 000 ლარის გრანტის გამოყოფაზე, რომელიც ითვალისწინებს:

- ✓ ფერმერთა სწავლება–კონსულტირებას;
- ✓ აგროსერვის ცენტრის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ✓ აგროსერვის ცენტრის მატერიალური ტექნიკური ბაზის განახლებას;
- ✓ მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სადგურების აღჭურვას, სპეციალისტების ხელფასს;
- ✓ ნიადაგის კვლევის მიზნით საველე ლაბორატორიის შეძენას, სპეციალისტების ხელფასს;
- ✓ ბიზნეს–პროექტების შემუშავებას;
- ✓ ფერმერებთან სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას;
- ✓ დარგის მიხედვით წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების დამზადებას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს კონსულტანტები მუნიციპალიტეტებში გეგმა–გრაფიკის მიხედვით აწარმოებდნენ შეხვედრებს, კონსულტაცია გაეწია **642** ფერმერს. მათ შორის: ქობულეთში - **183**, ხელვაჩაურში - **126**, ქედაში - **81**, შუახევში - **115**, ხულოში - **137**.

საანგარიშო პერიოდში დაბეჭდილი იქნა **32 000** ცალი ბროშურა მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების მიხედვით, რომლებიც მუნიციპალიტეტებში შეხვედრების დროს დაურიგდათ ფერმერებს. ასევე დაიბეჭდა საინფორმაციო წიგნები „მებაღეობა“ და „მებოსტნეობა“, რომლებიც ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ საკონსულტაციო სამსახურების მიერ გადაეცა სპეციალიტებს და წარმატებულ ფერმერებს. მიმდინარეობს სწავლება–კონსულტირება მეცხოველეობა–ვეტერინარიის კუთხით.

გაეროს განვითარების პროგრამით დაფინანსების ფარგლებში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრში“ გაიხსნა შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ხელოვნური განაყოფიერების სადგურები, რომლებიც, სხვა უკვე მოქმედ ხუთ ხელოვნური განაყოფიერების სადგურთან ერთად, აღჭურვილი იქნა შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზით (სპეციალური აღჭურვილობა, საოფისე ავეჯი, კომპიუტერი და სხვა). ხელოვნური განაყოფიერების სადგურების მუშაობის სრულყოფის მიზნით, ამავე პროგრამის ფარგლებში გადაცემული იქნა **7** ერთეული მაღალი გამავლობის ნივას მარკის ავტომანქანა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ ,, ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი”



სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის" მიერ 2013 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში

№	ნიმუშის/სინჯის დასახელება	რაოდენობა	დამკვეთი
1	მცენარეული სასურსათო პროდუქტი	1	სსიპ „შემოსავლების სამსახური
		46	სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო"
		44	კერძო სექტორი
2	ცხოველური სასურსათო პროდუქტი	541	სსიპ „შემოსავლების სამსახური
		123	სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო"
		11	კერძო სექტორი
3	სასმელი წყალი	110	სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო"
		188	მუნიციპალიტეტები
		162	კერძო სექტორი
4	ჩამდინარე წყალი	210	გარემოს დაცვა
		122	შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი"
		9	კერძო სექტორი
5	მდინარის წყალი	18	კერძო სექტორი
6	აუზის წყალი	15	ქ.ბათუმის მერია
		2	კერძო სექტორი
		5	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
7	სუსტალკოჰოლური სასმელები	10	სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო"
8	ზღვის წყალი	150	გარემოს დაცვა
9	ცხოველის საკვები	12	სსიპ „შემოსავლების სამსახური
10	სადეზინფექციო საშუალება	18	ქ.ბათუმის მერია
11	ჩამონარეცხ-ჩამონაბანი	5930	ქ.ბათუმის მერია
		800	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
		36	კერძო სექტორი
12	მზა საკვები კალორიულობაზე	230	ქ.ბათუმის მერია
13	განათება	62	ქ.ბათუმის მერია
14	მზა საკვები კალორიულობაზე	59	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
15	ნემატოდებზე	38	სსიპ „შემოსავლების სამსახური
16	პათოლოგიური მასალა ცოფზე	24	კერძო სექტორი
17	ნიადაგი	15	კერძო სექტორი
18	სასოფლო სამეურნეო კულტურები	158	სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამა
19	სასოფლო სამეურნეო კულტურები	28	კერძო სექტორი
	სულ ჯამი	9171	

„აჭარის ა.რ. 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონში 2013 წლის 29 ნოემბრის №84 – უ.ს.რ.ს განხორციელებული ცვლილების შედეგად სსიპ „ლაბორატორიულმა კვლევითმა ცენტრის” 2013 წლის ბიუჯეტი განისაზღვარა 334 400 ლარით.

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითმა ცენტრმა” აკრედიტაციის განახლებისა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოების მიზნით ოქტომბერში გაიარა გამოცდა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ კვლევითი ცენტრი აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის სსტ ISO 17025:2010-ის მოთხოვნებს, შეფასდა დადებითად და გაცემული იქნა აკრედიტაციის მოწმობა, რომელიც ძალაშია 2017 წლის 28 ნოემბრამდე. ცენტრმა მნიშვნელოვნად გააფართოვა გამოკვლევების სფერო.

გმადლობთ ყურადღებისათვის !

ბათუმი, აკ. კომახიძის 1. №119

ტელ: 24 78 41

www.moa.ge